

ჩვენ განვიხილავთ ტრაექტორიაზე დამოკიდებულ ბროუნის ფუნქციონალებს და გამოგვყავს კონსტრუქციული სახის ფორმულები სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენისთვის. განხილული კლასის ფუნქციონალები არ არიან სტოქასტურად (ანუ მალივენის აზრით) გლუვი. შესაბამისად, ვერც კარგად ცნობილ კლარკ-ოკონეს ფორმულას (1984) და ვერც ამ ფორმულის განზოგადებას, ღლონტი-ფურთუხიას (2017) შედეგს ვერ ვიყენებთ. ჩვენ აქ ვიყენებთ კლარკ-ოკონეს ფორმულის ჯაოშვილი-ფურთუხიას ადრინდელი განზოგადების გარკვეულ მოდიფიკაციას და გამოგვყავს სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულები ინტეგრანდების ცხადი გამოსახულებებით.